საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/74 " 16 " ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ივნისის №1/59, №1/60 და 16 ივნისის №1/73 განკარგულებებით მოსამართლეები ნონა ზარქუა, თეიმურაზ სიხარულიძე და თამარ ხაჟომია გამწესდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 22 მაისის №1/43 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) „ა" ქვეპუნქტის 22-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „ბ" ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 42-ე და 43-ე პუნქტები:

„42. ნონა ზარქუა
43. თეიმურაზ სიხარულიძე";

გ) „ბ" ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 44-ე პუნქტი:

„44. თამარ ხაჟომია".

2. ეს განკარგულება, გარდა პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 22 ივნისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი